საქმე დს-შ/3-17 **22 მაისი, 2017 წელი**
ქ. თბილისი
მიღების ადგილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

მაია ვაჩაძე **(თავმჯდომარე),**
მოსამართლეები: ვასილ როინიშვილი **(მომხსენებელი),**
ნუგზარ სხირტლაძე

სხდომის მდივანი - მ. გ-ა

საჩივრის ავტორი - ადვოკატი გ. ქ-ი, წარმომადგენელი - დ. კ-ი

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ. ხ-ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის №083/14 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კომისიის თავმჯდომარის, გ. ტ-ის განცხადების საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, ადვოკატ გ. ქ-ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინური კოლეგია 2014 წლის 7 ივლისს იხილავდა ადვოკატ გ. ქ-ის დისციპლინურ საქმეს. კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის, თ. ჩ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ადვოკატის მიმართ არაკორექტულ მიმართვას (მომჩივანმა დაწყევლა ადვოკატის შვილები), საპასუხოდ ადვოკატმა გ. ქ-მა შეაგინა თ. ჩ-ს.

საჩივრის ავტორის, დისციპლინური კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა მომჩივანს მიაყენა შეურაცხყოფა. გ. ქ-მა აშკარად და მძიმე ფორმით დაარღვია პროფესიული ქცევის წესები, როდესაც სასამართლოს მსგავს ორგანოში მიმდინარე მისი პროფესიული საქმიანობის განხილვის პროცესში გინებით შეურაცხყო ადვოკატის პროფესია და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია.

ადვოკატმა გ. ქ-მა 2014 წლის 17 ნოემბერს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარადგინა, რომლის თანახმად, მან გამოთქვა სინანული აღელვების ნიადაგზე წარმოთქმული ფრაზის გამო. ადვოკატის განმარტებით, მისი რეაქცია მოჰყვა თ. ჩ-ს მიერ თავისი შვილების მისამართით გამოთქმული სიტყვების გამეორებას, ვინაიდან პირველ შემთხვევაში ადვოკატმა თავი შეიკავა მისთვის პასუხის გაცემისაგან. 2014 წლის 16 დეკემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ თ. ჩ-ს მიერ მისი არასრულწლოვანი შვილების მისამართით გამოთქმულმა წყევლამ ადვოკატის მხრიდან, სამწუხაროდ, გამოიწვია მყისიერი რეაქცია ყოველგვარი დაფიქრებისა და განსჯის გარეშე.

საპროცესო კოლეგიის დასკვნით, ეთიკის კომისიის მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით ადვოკატი გ. ქ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა შესახებ“ კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლითა და 6 თვის ვადით.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი გ. ქ-ი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. მას ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რომელიც კანონიერ ძალაში 2015 წლის 28 იანვარს შევიდა. ეთიკის კომისიის 2014 წლის 7 ივლისის სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატმა გ. ქ-მა საჩივრის ავტორს, თ. ჩ-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - შეაგინა.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ-ს მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები.

ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი. მისი ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესაბამება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული

გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და თავად კონსტიტუცია განსაზღვრავს პირის მიერ ამ უფლებით სარგებლობის ფარგლებს.

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს, არამედ იგივე ვალდებულება აქვს საქმის განმხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც. ეთიკის კომისიამ 3.03.2012წ. გადაწყვეტილებით განმარტა, რომ „ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეთა უფლებები. ეთიკის კომისიას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ადვოკატს მოეთხოვოს დისციპლინური სამართალწარმოების მხარეებთან ურთიერთობის მაღალი და დახვეწილი სტანდარტი“.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ განხილვის კოლეგია დისციპლინური საქმის განხილვისას ადვოკატის მიერ განხორციელებულ არაეთიკურ ქმედებას მიიჩნევს ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევად და ეთიკის კომისიისადმი უპატივცემულობად, რაც არღვევს როგორც საჯარო წესრიგს, ისე პროფესიულ სტანდარტსა და ადვოკატის პროფესიისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას.

ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია, თუმცა გ. ქ-ი მისი ქმედების გამომწვევ მიზეზად უთითებს საჩივრის ავტორისა და ეთიკის კომისიის ბრალეულობას. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე განზრახ ეცდებოდა ადვოკატის პროვოცირებას, გ. ქ-ი აღჭურვილი უნდა ყოფილიყო თმენის ვალდებულებით.

ეთიკის კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, კომისიის ორი წევრი - ნ. მ-ი და ნ. ვ-ი დარჩნენ განსხვავებულ აზრზე, რომელთა წერილობითი განსხვავებული აზრიც ერთვის მოცემულ დისციპლინურ საქმეს.

ადვოკატ გ. ქ-ს 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ასლი ჩაჰბარდა 2015 წლის 19 ნოემბერს, რაც კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. ადვოკატმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას.

სადისციპლინო პალატის 2016 წლის 18 მარტის სხდომაზე ადვოკატმა გ. ქ-მა წარმოადგინა დაზუსტებული საჩივარი, სადაც აღნიშნა, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-19 მუხლის თანახმად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან. მოცემულ შემთხვევაში კი სახეზეა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც შედგენილია კანონის დარღვევით, მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილისაგან. საჩივრის ავტორის მითითებით, 2016 წლის 5 მარტს მას ჩაჰბარდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ახალი ვერსია დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე, რომელიც უსამართლო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან გამოყენებულია სახდელის მკაცრი ზომა, ასევე დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-5

პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში უნდა ჩაჰბარდეს ადვოკატს პირადად, ხოლო მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იმავე ვადაში უნდა გაეგზავნოს მას.

საჩივრის ავტორის აღნიშვნით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიჩნეულია, რომ მას ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა 2015 წლის 28 იანვარს. ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში არ უნდა მიეღო, რადგან „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატის გაფრთხილება გაქარწყლებულად ჩაითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ამავე დებულების 23-ე მუხლის თანახმად, დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე, ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, გამოიწვევს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, ვიდრე ადვოკატისთვის წინა დისციპლინური გადაცდომის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იყო. დისციპლინური სახდელის გაქარწყლების შემდეგ, ადვოკატის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული დისციპლინური სახდელი. შესაბამისად, არც 2014 წლის 7 ივლისის (ინციდენტის მომენტში) და არც 2015 წლის 12 ნოემბრის (გადაწყვეტილების მიღების მომენტში) მდგომარეობით, ადვოკატს არანაირი დისციპლინური სახდელი არ ჰქონია.

საჩივრის ავტორის მითითებით, იგი დღეის მდგომარეობით სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე 16 პირის უფლებას იცავს. ამდენად, მისთვის საადვოკატო საქმიანობის 1 წლითა და 6 თვით ჩამორთმევით, არა მხოლოდ კარდინალურად შეიცვლება მისი ცხოვრება და საქმიანობის წესი, არამედ მიადგება უდიდესი მატერიალური ზიანი, ვინაიდან იძულებული გახდება საკუთარი მიზეზით გაწყვიტოს დადებული ხელშეკრულებები კლიენტებთან.

რაც შეეხება მომხდარ ინციდენტს, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თავად სხდომაზე მყოფმა კოლეგიის წევრებმა სათანადო რეაგირების გარეშე დატოვეს თ. ჩ-ს მიერ თავისი შვილების მისამართით წარმოთქმული უმძიმესი სიტყვები. აღნიშნული ფაქტით გათამამებულმა თ. ჩ-მ კვლავ გაიმეორა იგივე, რასაც მოჰყვა მისი ემოციური რეაქცია. ადვოკატის მითითებით, ამგვარი საქციელი მისაღები რომ არ არის, ამაზე არავინ დავობს, თუმცა შვილების უარყოფით კონტექსტში მოხსენიება არ არის ადვილი მოსასმენი. გ. ქ-მა საჩივარში მიუთითა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზ. ხ-ს შემთხვევაზე, როცა მან საჯაროდ განაცხადა, რომ „თავისი არასრულწლოვანი შვილების ხსენებას არასასურველ კონტექსტში, არავის აპატიებს“. ამდენად, თუ ეთიკის კომისია მიიჩნევდა, რომ ადვოკატ გ. ქ-ის მიმართ უნდა გამოეყენებინა დისციპლინური სახდელის ზომა, იგი არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან.

ადვოკატ გ. ქ-ს მიაჩნია, რომ ეთიკის კომისიის მიერ მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა შეუსაბამოდ მკაცრია და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ისეთი დისციპლინური სახდელის

დაკისრება, რომელიც საადვოკატო საქმიანობის შეზღუდვასთან არ იქნება დაკავშირებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ ეთიკის კომისიას უნდა ემსჯელა საქმის განმხილველი კოლეგიის ერთ-ერთი წევრის - გ. ტ-ს საქმის განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხსა და კომისიის შემადგენლობის სათანადოობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის ნაწილშიც. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ადვოკატ გ- ქ-ის მიერ ეთიკური გადაცდომის ჩადენა, თუმცა სადავო აქტში არ იყო დასაბუთებული ადვოკატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციულობა. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, ადვოკატი გ. ქ-ი ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა შესახებ“ კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 34.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატს, ისევე როგორც მოსამართლეს, მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატი ვალდებულია არა მარტო სასამართლოში მოქმედ ქცევის წესებს სცეს პატივი, არამედ იგივე ვალდებულება აქვს ადვოკატს საქმის განხილველ სხვა ორგანოებში მოქმედი ქცევის წესების მიმართაც.

დისციპლინური წარმოება სპეციფიკურია იმ მხრივ, რომ წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების მიმართ, ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად, საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. ადვოკატს მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ევალება პროფესიის სახე ღირსეულად წარმოაჩინოს ყველა ვითარებაში და საკუთარი ინტერესები დაიცვას მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვის გარეშე. ადვოკატს მოქალაქესთან შედარებით მეტი თმენის ვალდებულება აქვს, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ მოქმედებაზე რეაგირების ისეთი ფორმების შერჩევის უზრუნველყოფას, რომლითაც არ დაირღვევა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის წესები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2014 წლის 07 ივლისს ეთიკის კომისიაში მიმდინარეობდა თ. ჩ-ს საჩივრის საფუძველზე დისციპლინური საქმის N103/13

განხილვა ადვოკატ გ. ქ-ს მიმართ. თ. ჩ-ა წარმოადგენდა ადვოკატ გ. ქ-ს ყოფილი კლიენტის ამხანაგობის წარმომადგენელს. სხდომის განხილვის მიმდინარეობისას მხარეები შეკამათდნენ, საჩივრის ავტორმა დაწყევლა ადვოკატის შვილები, მას შემდეგ, როდესაც სხდომაზე შეიტყო, რომ ადვოკატმა მისი საქმე მასთან შეთანხმების გარეშე გაასაჩივრა, საპასუხოდ ადვოკატმა მომჩივანს შეაგინა და მობილური ტელეფონი ძირს დაახეთქა. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს სხდომაზე შექმნილ მდგომარეობას, მაგრამ განმარტავს, რომ ადვოკატ გ. ქ-ს ევალებოდა ადვოკატის სტატუსიდან გამომდინარე შეენარჩუნებინა პროფესიული ღირსება და არ მიეყენებინა მოწინააღმდეგე მხარისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა.

კოლეგიამ დისციპლინური საქმის განხილვისას ადვოკატის მიერ განხორციელებული არაეთიკური მოქმედება მიიჩნია ეთიკის კომისიაში ქცევის წესების დარღვევად და ეთიკის კომისიისადმი უპატივცემულობად, რაც არღვევდა როგორც საჯარო წესრიგს, ასევე პროფესიულ სტანდარტსა და ადვოკატის პროფესიისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას. ეთიკის კომისია არის დამოუკიდებელი, თვითმმართველი დისციპლინური დევნის ორგანო, რომელიც კომპლექტდება ადვოკატთა კორპუსის მიერ და მისი ამოცანაა საადვოკატო პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება და ადვოკატთა მხრიდან ქცევის წესების დაცვაზე კონტროლი. ეთიკის კომისია საქმის განხილვით ეხმარება ადვოკატს შეაფასოს თავისი ქმედებები პროფესიული ქცევის სტანდარტების კუთხით და გაარკვიოს კლიენტის პრეტენზიის საფუძვლიანობა, ხოლო ეთიკის კომისიის მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა ადვოკატმა სამომავლო მოქმედებებისთვის.

ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, ადვოკატი გ. ქ-ი არაეთიკურად მოიქცა იმ სხდომაზე, რომელზეც კომისიას უნდა შეეფასებინა ადვოკატის სხვა მოქმედებათა ეთიკურობა. მოწმის განცხადებით, ადვოკატმა მას ეთიკის კომისიის სხდომამდეც არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მათ შორის, ეთიკის კომისიის 2014 წლის 07 ივლისის სხდომის დაწყებამდეც, ასოციაციის კიბეებზეც შეაგინა. ქცევის შინაარსიდან გამომდინარე, ადვოკატი იმდენად მოუმზადებელია ფსიქოლოგიურად ამ პროფესიისათვის, რომ ეთიკის კომისიის წინაშე ვერ შეიკავა თავი, რაც ცალსახად ადასტურებს ადვოკატ გ. ქ-ს მიერ გაუწონასწორებლობასა და უპატივცემულობას, არა მარტო კლიენტის, არამედ ეთიკის კომისიის მიმართ.

ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა აღიარა ჩადენილი ქმედება და მოინანია, თუმცა გ. ქ-მა მისი ქმედების გამომწვევ მიზეზებად მიუთითა საჩივრის ავტორისა და ეთიკის კომისიის ბრალეულობა. ეთიკის კომისია განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარე განზრახ ეცდებოდა ადვოკატის პროვოცირებას, გ. ქუ-ი აღჭურვილი იყო თმენის ვალდებულებით. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარე, მესამე პირის, ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის ჩარევა ქმნის მეტ ემოციურ ფონს, ვინაიდან მხარეებს უწევთ ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება პოზიციების დასასაბუთებლად, რომელიც შესაძლებელია მათთვის არ იყოს სასურველი, შესაბამისად, კლიენტის მხრიდან პრეტენზიის არგუმენტირებული დასაბუთება ადვოკატმა მიიჩნია პროვოცირებად, რასაც ეთიკის კომისია არ იზიარებს.

ეთიკის კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემასუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. კომისიამ გაითვალისწინა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე, ფაქტი, რომ ადვოკატი არაეთიკურად მოიქცა მის წინააღმდეგ არსებული საჩივრის განხილვისას კვაზი სასამართლო ორგანოში, ასევე, ადვოკატს მიუხედავად კომისიისათვის გაცხადებული სინანულისა, თ. ჩ-თვის ბოდიში არ მოუხდია, კომისიამ მხედველობაში მიიღო ადვოკატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ის ზიანი, რაც მიადგა კლიენტს და ის ზიანი, რაც ადვოკატმა ამ ქმედებით მიაყენა პროფესიას, ადვოკატის ოჯახური მდგომარეობა, ფაქტი, რომ მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, მათგან ერთი ახალდაბადებული და მიიჩნია, რომ სახდელის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით ადვოკატ გ. ქ-ს კლიენტის, პროფესიისა და ეთიკის კომისიისადმი მიყენებული შეურაცხყოფისათვის სახდელის სახით უნდა განესაზღვროს 1 (ერთი) წლის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა გ. ქ-მა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას.

საჩივრის ავტორის აღნიშვნით, ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მითითებები და მათი სრული იგნორირება მოახდინა. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა ეთიკის კომისიას ემსჯელა დისციპლინურ წარმოებაში ადვოკატ გ. ტ-ს მონაწილეობის საკითხზე, მაგრამ ეთიკის კომისიამ არა თუ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, არამედ დისციპლინურ წარმოებაში დამატებით ჩაება მომჩივანი მხარის კიდევ ერთი წევრი - ნ. კ-ე.

ეთიკის კომისიაში საქმის დაბრუნების შემდეგ, საპროცესო სხდომა ჩატარდა 2016 წლის 22 ივლისს, ამჯერადაც დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევით. ამავე სხდომაზე ადვოკატმა დააყენა იმ პირთა აცილების შუამდგომლობა, რომლებმაც მის მიმართ გამოიტანეს უსამართლო გადაწყვეტილება. შუამდგომლობების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას არც ერთ შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებას არ ახლავს თუნდაც ფორმალური დასაბუთება. გარდა არსებითი სახის პროცედურული დარღვევებისა, თავად გადაწყვეტილება და გამოყენებული სახჯელის ზომა შეუსაბამოდ მკაცრი და არასამართლიანია, რის გამოც იგი უნდა შეიცვალოს დისციპლინური ზემოქმედების ისეთი ზომით, რომელიც დაკავშირებული არ იქნება საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ გ. ქ-ს საჩივარი უნდა

დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის №083/14 გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატ გ. ქ-ს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – გაფრთხილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა იღებს გადაწყვეტილებას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, თუ საკითხი ეხება ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. ამავე კანონის 72-ე მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას, სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ დაკისრების, დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების უკანონო გამოყენების შემთხვევაში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისთანავე სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მიიღოს ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, იმავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გარდა. ამდენად, სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია, ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება პირის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ (კანონის ანალოგია);

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 7 ივლისს კოლეგიის სხდომაზე იხილებოდა თ. ჩ-ს საჩივარი ადვოკატ გ. ქ-ს მიმართ. სხდომის მიმდინარეობისას გ. ქ-მა საჩივრის ავტორს, თ. ჩ-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, შეაგინა. აღნიშნული ფაქტის შესახებ, განხილვის კოლეგიის თავმჯდომარემ, გ. ტ-მა განცხადებით (საჩივრით) მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და ადვოკატ გ. ქ-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრა მოითხოვა. განცხადებაში მითითებულია, რომ ადვოკატმა თავისი ქმედებით დაარღვია პროფესიული ქცევის წესი, რითაც შეურაცხყო თ. ჩ-ა, ადვოკატის პროფესია და დისციპლინური საკითხის განმხილველი კომისია. აღსანიშნავია, რომ საქმის განმხილველი კოლეგია სხდომას წარმართავდა გ. ტ-ს (თავმდჯომარე), ნ. კ-სა და გ. ტ-ს მონაწილეობით, რომელთაგან კომისიის ერთ-ერთმა წევრმა - გ. ტ-მა მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის მიერ ამ ფაქტთან დაკავშირებით გ. ქ-ს დისციპლინური საქმის განხილვაში.

სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 აპრილის №დს-შ/9-15 გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიას მიეცა მითითებები, რომ დაედგინა ეთიკის კომისიაში გ. ტ-ს მონაწილეობის მართლზომიერება, მით უფრო, რომ განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე მიმართვაში მიუთითებდა ადვოკატის მიერ არა მხოლოდ თ. ჩ-ს, არამედ დავის განმხილველი ეთიკის კომისიის შეურაცხყოფაზე, ხოლო ადვოკატი გ. ქ-ი ინციდენტის მიზეზთა შორის ასახელებდა კომისიის მიერ სხდომის არასათანადო წარმართვას, კოლეგიის უმოქმედობას, რამაც გამოიწვია სიტუაციის

უკიდურესად დაძაბვა და მხარეთა მიერ ურთიერთშეურაცხყოფა, თუმცა ეთიკის კომისიამ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სადისციპლინო პალატის ზემოაღნიშნული მითითებები არ გაითვალისწინა და მათზე არ იმსჯელა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს ეთიკის კომისია არანაკლებ, თორმეტი წევრის შემადგენლობით. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ეთიკის კომისიის არანაკლებ ათი წევრის ხმა. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის თანახმად კი, დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. ამავე დებულების მე-11 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა, კერძოდ, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ეთიკის კომისიის ის წევრი, რომელიც თავად არის მხარე დისციპლინურ წარმოებაში. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიამ უგულვებელყო ზემოაღნიშნულ ნორმათა დანაწესი, ვინაიდან ადვოკატ გ. ქ-ს დისციპლინური საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ მოცემულ საქმეზე ჩატარდა ორი განხილვის სხდომა, პირველ სხდომაზე (14.07.2016წ.) ეთიკის კომისიის ორმა წევრმა - გ. ტ-მა და ნ. კო-მ კვლავ მიიღეს მონაწილეობა დისციპლინური საქმის განხილვაში, რომელიც გადაიდო ადვოკატ გ. ქ-ს შუამდგომლობის საფუძველზე. მართალია, მათ შემდგომ სხდომაზე და გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა აღარ მიუღიათ, თუმცა საქმეში ჩაერთო სხვა წევრი, ხ. გ-ი, რომელმაც ადვოკატ გ. ქ-ს დისციპლინური საქმის განხილვისაგან თავიდანვე თვითაცილება განაცხადა. აღნიშნულ გარემოებაზე სადისციპლინო პალატის სხდომაზე მიუთითა ადვოკატმა გ. ქუ-მა, ხოლო მტკიცებულების სახით საქმეში წარმოდგენილია ეთიკის კომისიის 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეჩერების შესახებ იმ საფუძვლით, რომ ეთიკის კომისიის წევრებმა - გ. ტ-მა და ხ. გ-მა დააყენეს თვითაცილება განსახილველი საქმის მიმართ (ტ: IV, ს.ფ.).

სადისციპლინო პალატა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებაზე - „სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“, რომლითაც დადგინდა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის დადრღვევა იმ საფუძვლით, რომ სადისციპლინო კოლეგიის ის წევრები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, სადისციპლინო საბჭოში იღებდნენ მონაწილეობას იმავე საქმეზე. მითითებული ნორმით დადგენილია, რომ „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, დროის განსაზღვრულ ვადაში“. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ *„მოცემულ საქმეში*

მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 4 წევრი პირველად შეიკრიბა კოლეგიის სახით, პირველი ინსტანციის წესით საქმის განმხილველი სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებით, განმცხადებლის მიმართ არსებული დისციპლინური ბრალდების დასაბუთების ხარისხის შესასწავლად. კოლეგიამ ჩაატარა სხდომა, გამოიკვლია ყველა მტკიცებულება და შემდეგ გამოიტანა დასაბუთებული გადაწყვეტილება 2004 წლის 23 დეკემბერს, კერძოდ, დაადგინა განმცხადებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა და დააკისრა დისციპლინური სახდელი - თანამდებობიდან გათავისუფლება". „... მოგვიანებით, იმავე ოთხმა მოსამართლემ, რომელიც სადისციპლინო საბჭოს 8 მოსამართლისაგან შემდგარი პლენარული სხდომის მონაწილე იყო, სააპელაციო გადასინჯვის წესით განიხილა 2004 წლის 23 დეკემბრის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, განმცხადებლის მიერ შესაბამისი კანონის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული ფაქტობრივი და სმართლებრივი საკითხები. სხვა სიტყვებით, სააპელაციო ინსტანციის დონეზე, იგივე ოთხი მოსამართლე იქნა მოწვეული, რათა ხელახლა სრულად განეხილათ საკუთარი გადაწყვეტილება იმავე საქმეზე, გადაესინჯათ, ხომ არ დაუშვეს რაიმე შეცდომა ფაქტობრივი გარემოებების შეფასების ან სამართლებრივი განმარტების დროს".

ეთიკის კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ასევე არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადიციპლინო პალატის მითითება, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის ნაწილშიც. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლი სრულად ჩამოთვლის ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელ დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სახდელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 7 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე თ. ჩ-ს საჩივრის განხილვისას ადვოკატ გ. ქ-ს წინააღმდეგ, ადვოკატმა სხდომის მიმდინარეობისას საჩივრის ავტორს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, შეაგინა. ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აღნიშნული ქმედებისთვის ადვოკატ გ. ქ-ს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლითა და 6 თვის ვადით, ხოლო მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას ადვოკატს შეუმცირდა დისციპლინური სახდელი ზომა მხოლოდ 1 წლამდე. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ შეურაცხყოფას ჰქონდა ორმხრივი ხასიათი, ადვოკატის მიერ ქცევის წესების დარღვევა გამოიწვია მომჩივნის, თ. ჩ-ს მიერ ადვოკატის არასრულწლოვანი შვილების დაწყევლამ. დისციპლინური წარმოება გამოირჩევა სპეციფიკურობით იმ თვალსაზრისით, რომ წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების მიმართ, ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად, საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. მართალია, ადვოკატს გააჩნდა თმენის ვალდებულება და იგი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-5 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები), დაიცვას და პატივი სცეს მოქმედ ქცევის წესებს, ამასთანავე,

ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობებზე არბიტრაჟსა და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულების ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი), მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატის საქციელს მისი ყოფილი კლიენტის მხრიდან არა ერთი მაპროვოცირებელი განცხადება უძღოდა წინ. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის ადვოკატ გ. ქ-ს მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა, ის სარგებლობს დადებითი საქმიანი და მორალური რეპუტაციით, მას საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე გადაცდომის ფაქტის არსებობა სადავოდ არ გაუხდია და აღიარებს თავის ბრალეულობას. გ. ქ-მა ეთიკის კომისიის სხდომაზე, ასევე სადისციპლინო პალატაში საქმის ხელმეორედ განხილვისას მოინანია თავისი საქციელი და განაცხადა, რომ ადვოკატისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა, თუმცა მიაჩნია, რომ მომხდარი ფაქტი მნიშვნელოვნად განაპირობა განხილვის კოლეგიის უმოქმედობამ, რომელმაც რეაგირების გარეშე დატოვა თ. ჩ-ს მიერ ადვოკატ გ. ქ-ს არასრულწლოვანი შვილების მიმართ წარმოთქმული უმძიმესი სიტყვები. ადვოკატმა გ. ქ-მა აგრეთვე მის მიმართ ეთიკის კომისიის წევრების უარყოფით დამოკიდებულებაზე მიუთითა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონზე (კანონის ანალოგია), რომლის 53-ე მუხლით დადგენილია, რომ „სადისციპლინო კოლეგია დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, რაც, თავის მხრივ, სადისციპლინო კოლეგიას ავალდებულებს დაადგინოს ამავე კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა ერთობლიობა, კერძოდ, “... ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, ამ კანონის შესაბამისად არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, ... მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში”. ამასთან, ამავე კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია, რომ სახდელის ზომის შერჩევისას სადისციპლინო კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომელიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და მოსამართლის პიროვნებას, მის საქმიან და მორალურ რეპუტაციას“, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას, ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელი სავალდებულოდ ადგენს ზემოაღნიშნულ ნორმაში განსაზღვრულ სხვა გარემოებათა ერთობლიობაში არსებობასაც, კერძოდ, მოსამართლის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი

გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში მოსამართლის ბრალის ხარისხის შეფასებას.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული ადვოკატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციულობა. „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გადაცდომისათვის დადგენილი სახდელის ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები მანამდე არსებული პრაქტიკა. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში, დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას. საჩივრის ავტორმა, გ. ქ-მა საჩივართან ერთად წარმოადგინა ეთიკის კომისიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები, სადაც მსგავსი გადაცდომების გამო ადვოკატს შეეფარდა სახდელი, რომელიც არ უკავშირდება საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. ამდენად, სადისციპლინო პალატა არ იზიარებს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის მოსაზრებას ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან გამოყენებული სახდელის შესაბამისობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით გამოყენებულ უნდა იქნეს გადაცდომის შესაბამისი, პროპორციული სახდელი.

კონკრეტულ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის მიერ ასეთი შეფასება განხორციელებულ იქნა არასრულად, რამაც ადვოკატის ქმედების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციის პირობებში, დაკისრებული სახდელის მასთან შეუსაბამობა გამოიწვია. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. ქ-ს უნდა დაეკისროს უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია საპროცესო ნორმების დარღვევით და არ არის დასაბუთებული, შესაბამისად, საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მოცეულ საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტითა და 72-ე მუხლით (კანონის ანალოგია) და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ გ. ქ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 2 თებერვლის №083/14 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ადვოკატ გ. ქ-ს დაეკისროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **/მაია ვაჩაძე/**

მოსამართლეები: **/ვასილ როინიშვილი/**

/ნუგზარ სხირტლაძე/